ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №80
2013 წლის 25 ნოემბერი

ქ. ხაშური

,,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №43 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 11/06/2013; 010250020.35.143.016178) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მოხელეთათვის:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე პროგრამების ცოდნა და ინტერნეტის მოხმარების უნარი;

გ) ამ დადგენილების №1 დანართში მითითებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ცოდნა.“;

ბ) დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

,,5. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მთავარი სპეციალისტებისთვის, წამყვანი სპეციალისტებისთვის, უფროსი სპეციალისტებისთვის და სპეციალისტებისთვის შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) საშუალო განათლება;

ბ) სამუშაო გამოცდილება 2 წელი;

გ) ავტომობილის მართვის მოწმობა (მძღოლებისათვის B,C კატეგორია);

დ) გამოსაცდელი ვადა 6 თვე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**